

თბილისი გამ-გა „აქიმახისი“

1941

# როსობი

ეროვნული  
გოგლირთქე

№ 3 1941 წ.

ფასი 1 მან.

9/12  
5  
№ 146



## ეპიგრამათა შორის

ნა. გ. ლავიცივი

მანარაბის რაიონის კოლმეურნეობა „შრომას“ წევრთა შორის 85 ეროვნულიოცებური მსროლელობა

პო. შ. გვარდიელი (გენერალს): — გართულდა ხაქმე თქვენო ბრწყინვალეობა, ჩვენს ხელში სანაპირო სიმავრეს რომ მიღებდნენ, გზა გასხნილი იყო, ახლა კი საბუთთა კვეყანაში თითოეული კოლმეურნეობა ციხე-ხიმაგრეს წარმოადგენს.

## პავლე „მოკლუფხემა“

არ იფიქროთ ეს ამბავი  
მართო ერთ გმირს ეხება,—  
ქონდარტრესტს ყავს დირექტორი  
პავლე მოკლე ფეხება.

რადგან მუდამ კაბინეტში  
მან ცხოვრება ატარა,  
ფეხიც მიტომ დაუმოკლდა,  
გახდა ჩია, პატარა.

მე მის პორტრეტს ვუძღვნი გულით  
დირექტორებს, მმართველებს,  
საქმის არმცნობთ, წარმოების  
წალმა არ წამმართველებს.

რაკი უმძიმს ზოგიერთს  
ეხსნას მავნე ჩვევასა,  
მე—ნიანგი, ამ გმირებს  
ვადღევ ასეთ რჩევასა:



ეს სურათი ამოსჭრან  
ფრთხილად დანის წვერითა,  
კაბინეტში დაჰკიდონ  
დატკბნენ მისი ცქერითა.

და თუ გრძნობა სიხარბის  
გულს გაუკრთეს ალური,  
თუ შემურდათ პავლესი  
ფორმა „ფიგურალური“,

დე, მიბაძონ მის ქცევას,  
გახდენ პავლეს სადარი,  
მეც გაუწევ „სამსახურს“,—  
ჩანგლის წვერი მზად არი!



## საამი ფეხს რომ მიწას აბჯანს, წვირი ცათა თალეზშია.

ამ ვაებატონს „ტახტზე“ მჯდომსა  
ყველა იცნობს რა დღეშია,  
სკამი ფეხს რომ მიწას აბჯენს  
წვერი ცათა თალეზშია.

დასკუპულა თვით მაღლიდან  
სანაგველას ჭირკვივითა,  
გარეთ გასვლას არ კადრულობს,  
იბერება ტიკვივითა.

„საერთო ხელმძღვანელობას“  
სწევს პირქუშად მაღლიდანა,  
საამქროს ვერ გააკარებ  
თუნდ დაასო გულზე დანა.

ზვიადია, მედიდურობს,  
არ სცილდება თვის „პონტს“, „მაღალს“,  
მაღლიდან სცემს დირექტივებს  
ცხელ-ცხელსა და ახალ-ახალს.

კაბინეტში მუდამ ჯდომა  
სულსა და გულს ურჩევნია,  
წარმოებაში გამოსვლით  
წუიოც არ გაუცდენია.

დასკუპულა მაღალ სკამზე,  
რომლის წვერი ცის თაღს წვდება,  
ძირს რომ ბრავგანი მოილოს  
სხვას ხომ არვის დაბრალდება?

## კაბინეტის მამლაჟინა

ეს ყმაწვილი თავის საქმის  
სიყვარულით თრთის და იწვის,  
თვითონ ყივის მამალივით,—  
„გათენება ღმერთმა იცის“.

ქალაღდები გააძვირა  
ემტერება იმის საწყობს,  
დღეში ათას დირექტივას  
შეხანხლავს და გამოაცნობს.

ერთი წუთით არ ისვენებს  
კაბინეტში როგორც მივა,—  
დირექტივა ადგილებზე  
პანტასავით ცვივა, ცვივა,



დადლის ფიქრი მის ოცნებას  
არასდროს არ ემოძმება,  
მაგრამ მუდამ ავიწყდება  
შესრულების შემოწმება.

ერთი სიტყვით თვის ვალს იხდის  
მიმართვებს თხზავს, აცნობს ილწვის:  
„თვითონ ჰყივის ვით მამალი,—  
გათენება ღმერთმა იცის!“.



— ექვსი თვეა ჩვენი ქარხნიდან ნაგავს ზიდავენ და ჯერ კიდევ ვერ გაწმინდეს.  
— ეს იმიტომ რომ ამ „ბატარა კუჭყის“ მოშორება დაავიწყდათ.

**ერთი ღლა ლიკაქვორი თიეთიკაჰისა**

„...ხელმძღვანელი მუშაობის მთავარ ნაწილს უნდა შეადგენდეს არა სახსლომ მუშაობა და არა გაღა-  
წვეტილებათა მიღება, არამედ ამ გადაწყვეტილებათა შესრულების ყოველდღიური შემოწმება.“  
(ამხ. გ. მ. ბალენკოვის მოხსენებიდან — ხაქ. კ. ბ. (ბ) XVIII სრ. ხაქ. კონფერენციაზე)

„ბატბურდლას“ დირექტორი  
თიეთიკაჰე — ყოველ დილით,  
შედის ხოლმე თავის ტრესტში —  
ბრტყულ სახეზე — ტკბილ დიპილით.

პალტოს მისცემს შვეიცარსა,  
საესე პორთფელს დასდებს ნელად,  
შემდეგ დინჯად ჩაეშვება  
სავარძელში — ნელა ნელად.

ელექტრო-ლილს თითს დააჭერს,  
აჩქამდება უმალ ხარო, —  
წამის შემდეგ, ქალაღლებით  
მმართველი ჰყავს გვერდით მჯდარი.

მმართველი და რა მმართველი:  
მარჯნის ტუჩა, ტანკენარი,  
თმა-კულულა... ერთის სიტყვით  
მშვენიერი ქალი არი:

აქეთური, იქითური,  
მუსაიფი გაჩაღდება,  
თანაშემწეც მოდის ამ დროს —  
ჩვეულებრივ, როგორც ხდება:

თანაშემწეს — სხვა მოჰყვება,  
კიდევ სხვა და კიდევ სხვანი,  
და ურთულეს საკითხებზე  
მსჯელობაა კარგა ხანი.

და როდესაც ყველა საკითხს  
სათითაოდ ამოსწურავს,  
თიეთიკაჰე — თიეთიკივით  
უკვე „საქმის კურსში“ ცურავს:

გადახედავს ქალაღლებს და,  
გადაწყობს გვერდზე ნელად,  
და ბრძანებს, რომ ყველა მუშაკს  
ხოუყარონ თავი — ხელად.

\* \*

თათბირია... დირექტორი  
დინჯად იწყებს ისევ იმას

რაც გუშინ სთქვა და რაც უკვე  
გადასწყვიტა გუშინწინაც.

— თქვენ ხომ იცით, — იტყვის იგი, —  
თუ რას ნიშნავს დისციპლინა?  
იგი უნდა განვამტკიცოთ.  
და გავსწიოთ წინ და წინა!

„ა“ საამქროს ვარღვევა აქვს  
„ბე“ — ში ტემპმა მიიძინა. —  
ეს იმიტომ, რომ ბოლო დროს  
მოიკოჭლებს დისციპლინა,

თუ გვინდა, რომ შრომის ტემპი  
ღირსეულად აღვადგინოთ  
შინაგანი განაწესი  
ახლად უნდა შევადგინოთ,

შევადგინოთ, განვიხილოთ,  
შევასწოროთ, დავამტკიცოთ,  
და მის ზუსტად ვატარება  
ჩვენ ერთმანეთს კვლავ შევფიცოთ.

— ეს ხომ... გუშინ განვიხილეთ, —  
ამბობს ვიღაც კუნჭულიდან?  
— რაო? — სეჭყეს დირექტორი, —  
რა გსურს რომ სთქვა ჩურჩულითა?

— ეს ხომ დროის გაფლანგვაა —  
მოკრძალებით ამბობს ერთი, —  
ყოველდღე რომ ახლად ვესვამთ  
მეაყვავრ დასულ წერტილს?

დირექტორი თვალბიდან  
ნაპერწყვლებს ჰყრის, როგორც კვესი:  
— ააა, რა გსურთ? — ჰკითხავს იგი, —  
თქვენ არ გნებავთ განაწესი?

გამოდის, რომ არც ის გინდათ  
მუყაითად მუშაობდეთ, —  
და აპირებთ — ძველებურად  
პასუხებებს არა გრძნობდეთ?

ვერ ნოვართვით... თუ მე მთელ დღეს  
ვტვირთავ მთელი სისათუთით  
და ვიბრძვი, რომ ჩემს ფარგლებში  
არ გამოცდეს თუნდაც წუთი,

თქვენ რა კრელი პეპელა ხართ,  
რომ არ გნებავთ შეწუხება:  
და არ მოკწონთ, საკითხების  
გაფორმება, შეთანხმება?

არ გაგივათ... მე მოვითხოვ,  
დაიხსომოს ყველამ ესა!  
დისციპლინის დაცვის ირგვლივ  
მუდამ დილით მომხსენდესა,



რომ ყოველდღე განვიხილოთ  
ხელის შემშლელ ნაკლოა წყება:  
შევათანხმოთ, დავაზუსტოთ —  
აწ ვისაც რა ევალება.  
რომ გავხარდეთ, წესისამებრ  
შრომის ნაყოფიერება.

\* \*


და „ახუსტებს“ და „იხილავს“  
და იმგვარად „იტვირთება“,  
რომ ხამდეილი დატვირთვისთვის  
მას დრო სულაც აღარ რჩება...

„ბატბურდლას“ ყოველი დღე  
გახლავთ თითქმის ამისთანა, —  
და ხვალისთვის ეს წერილი  
რომ დაეწყოთ თავიდანა,  
გაისხვავებას დიდს ვერ ჰპოვებთ,  
ხევიდან, თუ ქვევიდანა, —  
თუ კი ხვალ იქ სახკონტროლმა  
ცვლილება არ შეიტანა.





1. თვითკრიტიკის მოძულე ნიაგარიშვილმა მუშა-მოსამსახურეთა კრებაზე ორ საათს მკვერმეტყველურად ილაპარაკა, რომ თავისი წარმოების ნაკლი მიუჩვენა.



2. წარმოების გამოკლევებს შემდეგ, ნიაგარიშვილმა ზემდგომ ორგანოსაგან მიიღო ბრძანებით გაფრთხილება სუსტი მუშაობის გამო. მღივანმა უჩინა, რომ მისთვის თვითკრიტიკის ჩახშობა არ დაეწამებინათ, თვითონ აღენიშნა ზოგიერთი წერილშიანი დეფექტი.



3. მღივნის რჩევა კეუში დაუჯდა და საერთო კრებაზე წარმოების ჩამორჩენის მიზეზად შიკრიკი გამოიყვანა, რამდენაც ორჯერ ფოსტის თავის დროზე კორესპონდენცია ვერ ჩააბარა.



4. სამაგიეროდ წარმოების მდგომარეობის ხელშეწყობად გამორკვევის შემდეგ იაგარიშვილს წააბარეს ბრძანება მისი სამსახურიდან მოშლის შესახებ.

საბრფოვ, რატომ მითვალთმაქცე—ფინელ დიპლომატივითა? თურმე სულაც არ მიგონებ—ღირსებით და პატივითა, აღარც ახლოს შეკარები—გარეული ბატკანა, გული ხომ არ მოგეშალა—ჩვენი ავტომატივითა?

არც წერილს მწერ,—სევდის ცრემლი თვალს მისველებს ნესტივითა,

უტილში ხომ არ მიმეცი—გაცვეთილი მესტივითა? ვახ თუ ჩემს გულს ნერგადა სთვლი (დავიჯერო ეს კი—ვითა) დღეს დარგო და ხვალ გაახმო—გამწვანების ტრესტივითა? მე შენს ნახვას მოველოდი, ტკბილი ბედის წერასავით, მეფონა, რომ მზეც არ იყო მაგ შენს თვალთა მხერასავით, მტრედად გთვლიდი, მაგრამ შენ კი მომეჩვენე ძერასავით, იმედი რად გამიცრუე ზოგ-ზოგ პრემიერესავით? თურმე ტრფობის საგნად გახდი, ერთი ფრანტი ბიჭიკოსი? მე მას ვიცნობ, სტატიებს სწერს, ძმა ჩვენი ტიტვიკოსი, (მან შედეგად აღიარა—ჩლუნგი დრამა—გვირიტიკოსი,—) პოეტობას რაღა გიშლის, რაკი გეტრფის კრიტიკოსი?

ფარსადანი.

### პაგაკა მიმოხილვანი

„უწყველი პროფესია კარგია“...

ამ სათაურის ქვეშ მოთავსებულია ხაშურის რაიონული გაზეთის № 602-ში დ. დარნაულის ლექსი.

ავტორი არ სცდება:

ჩვენს ბედნიერ სამშობლოში მართლაც ყველა პროფესია კარგია. არ ვარგა მხოლოდ დ. დარნაულის „ლექსი“:

„ახალგაზრდებო ისწავლეთ შრომა

გახდით ხარატი მუშა პოვარი...“

მართალია, უკანასკნელ სტრიქონს მოსდევს რითმა „მეუპოვარი“, მაგრამ ეს კიდევ არ ამტკიცებს რომ ქართულად არ არსებობდეს სიტყვა „პოვარი“ სამაგიეროდ ცნება.

ხოლო, თუ ვადავხედავთ აღნიშნული ლექსის ქვედა სტრიქონებს, საყსებით დავრწმუნდებით, რომ პატივცემული დარნაული შემცდარა როცა თავისთვის შეურჩევია პოეტის პროფესია.

„...ისწავლეთ თუჯის ჩარხვა და დნობა“-ო.

დნობას როგორმე ვისწავლით, მაგრამ თუჯის ჩარხვა, ვფიქრობ, გაგვიჭირდება.

ხაშურის რაიონული გაზეთის პ/მგ. რედაქტორს ანხ. გ. ცუცქერიძეს, ჩვენს აზრით, გაზეთში გასაშვები ლექსი ჯერ უნდა კარგად გაეჩარხა და შემდეგ დაებეჭდა.

### სახიფათო გადასვლები

ცხაკიას რაიონული გაზეთის „ავენგარდის“ პირველი იანვრის ნომერში დაბეჭდილია რეცენზია ა. წერეთლის პიესის „კინტოს“ შესახებ რომელიც ადვოლობრივ თეატრს დაუდგამს.

არაფერი გვექნებოდა იმ შეფასებათა საწინააღმდეგოთ, რომლებსაც ავტორი აძლევს დამდგმელს და შემსრულებლებს (მით უმეტეს, რომ რეცენზიას უზიღ ხელმოწერა „თეატრალი“), მაგრამ ჩვენი ყურადღება მიიპყრა ერთმა სახიფათო გადასვლამ რეცენზიაში:

ავტორი აძლევს რა დადებითს შეფასებას „კინტოს“ როლის შემსრულებელ მსახიობს ქალს. სწერს:

„პარტერში მოწონებას იწვევს მისი გადასვლები სალომედან—კინტომდის და პირიქით“-ო.

უნდა ვიფიქროთ, რომ მსახიობის თამაშს მოწონება არ გამოუწვევია ქანდარაზე და ლოყებში. შეგვიძლია ისიც კითხვიკოთ, რომ ცხაკიას თეატრს ქანდარა და ლოყები არ გააჩნია. მაგრამ ძალიან გვეანტერესება ვავიგოთ, თუ როგორ „გადადის მსახიობი ქალი სალომედან—კინტომდის და პირიქით“?

ჩვენ, ცხადია, მიუხედავად პატივცემულ თეატრალს, რისი თქმაც სურს მას, მხოლოდ საჭირო იყო წინადადებათა უფრო მონერხებული გადასვლა, რათა მკითხველი არ გადაგვეყვანა ერთგვარ ბუნდოვანებაში.



მუზეუმის თანამშრომელი თევზი: — ეს მონოკლი, ბატონებო, ერთი კეთილშობილი არსებობსაა, რომელიც, უფალმა შეუნდოს, ჯერ მინისტრს იყო, შემდეგ ისევ მინისტრი და ახლა — კი აღარაფერია...

— კლასი და აკადემია დავამთავრო, ამას ვერ ვიტყვი, მეც-  
ნიერების დოქტორობას ვერ დავიხმებ, მარა ამ ჩვენ სოფელში  
ყველა მიცნობს, და თუ ჩემი ხათრი გაქვს, მითხარი: მოტყუაშ  
ტყუილი ოდესმე?

ასე ელაპარაკებოდა ჩვენს სოფელში განთქმული „უნივერსა-  
ლური“ ექიმი ილარიონი მასთან მისულ პაციენტს.

— ბატონო, რავე გეკადრებათ, — უდასტურებდა მას პაციენტი,  
— თქვენ რომ არ იყოთ პირდაპირ აღარ ვიცი ამ ჩვენს წამლებს  
რა ეშველებოდა.

— ჰო, იმას გეტუბნებოდი.. ერთი შენი სახელი გვაჩუქეთ!

— კორფილე, ჩემო ბატონო!

— ჰო, კორფილე-ჩემო, იმდენი სიცოცხლე მე მომცემოდეს,  
რამდენი კაცი მე ფეხზე წამომეხტუნებოდა. ამას თამადად ვატყვი.

— წამოახტუნებდით, რაღა ლაპარაკი უნდა!... — ისევ დაუდას-  
ტურა პაციენტმა.

— შენ წამლისთვის იქნები ჩემთან მოსული, — მიმართა ბო-  
ლოს ილარიონმა, — ჩემო ბიძიო, აიჩიე ამ შუშებში, რომელიც  
გინდა... მე შენ გეტყვი არ გაჭრის თუ?

— ამომიჩიეთ ბატონო ის წამალი, შარშან რომ ისმაილს  
ოჯახობა მოარჩინა. იქნებ ჩემსასაც უშველოს რამე.

— სამი თუმანი ეღირება.

— უჰ!...

— როგორ, სამ თუმანზე მეტი არ გიღირთ ღვიძლი ცოლი?  
წადი, წადი ბიძიკო, და იაფად „ლამბურატოლია“ მოგცემს.

გაჯავრებული ილარიონი ასე უპატივიცემლოდ გაისტუმრებს  
პაციენტს და ჩაუფიქრდება ახლანდელი დროების უსამართლობას.

— ჰაი დედასა... — იტყვის იგი, — ჰაი დედასა როგორ გამოიცე-  
ლა ეს ქვეყანა!... ორმოცი წელიწადია ვლოხტურაბ ეს უსწავლე-  
ლი კაცი და აბა თუ ვინმემ დამიფასოს!

ჭირივით ეჯავრებოდა ილარიონს სოფლის ექიმები, განსა-  
კუთრებით შეიჯავრა ქირურგი.

— ეს რაფერი ხალხია, — ამბობდა იგი, — გუშინწინ ერთი კაცი  
დაურწმუნებით ბრუციანი ნაწლავი გაქვსო (რას არ მოიფრებენ!),  
ამოუჭრიათ იმ საწყალისათვის!

როგორც კი შემთხვევით შეეყრებოდა ილარიონი რაიონულ  
ექიმს, იმ წუთში მიაჩანებდა:

— ბიჭო, ერთი ეს მითხარით, რამ მოგაგონებიათ ეს რაცხა  
ბრუციანი ნაწლავი. სად გინახავთ თქვენ, რომ ნაწლავებს თვა-  
ლები ჰქონდა!..

— გვინახავს, გვინახავს ბატონო ილარიონ! — დაცინვით ეტ-  
ყოდა მას რაიონული ექიმი და გაღიხარებდა.

— რა გინახავს, რა... მითხარი რა გინახავს? — გაცხარდებოდა  
ილარიონი, — ბიჭო, რომ სჭრით ნაწლავს, ოხრახუში ხომ არ არის,  
რომ ამოუვიდეს... მაგრამ რა გელაპარაკოთ. თქვენ რომ რამე  
იცოდეთ, უფასოდაც არ უეჭიმებდით მთელ სოფელს. ვაი თქვენს  
პატრონს!...


სოფლის მოსახლეობაში ილარიონს ძალიან შეერყა ავტორი-  
ტეტი. მას დასცინოდნენ კიდევ და ერთხელ პროკურორმაც კი გა-  
აფრთხილა: თავი დაანებე ექიმბაშობასო, მაგრამ ილარიონს ენა-  
ნებოდა საყვარელი პროფესიის მიტოვება, მით უმეტეს, არავითარ  
შრომას მისი ეს „პროფესია“ არ მოითხოვდა. რომელიმე ჩამორჩე-  
ნილი გლეხი კვლავ ენდობოდა და ზოგჯერ მიიწვევდა ხოლმე კი-  
დეც ავადმყოფის სანახავად.

— რავე წამოწოლილხარ ბატონო, შახაბაზივით? — მხიარულად  
მიმართავდა ილარიონი ავადმყოფს. — აბა აქეთ შემომხედე... მიცა-  
ნი? შეხედე ამ შუშას! ამაშია შენი წამოსახტუნებელი წამალი.

ილარიონი ავადმყოფს მაჯაში მოჰკიდებდა ხელს.

— აბა ერთი ჩაახველე! — ეტყოდა იგი ავადმყოფს და შემდეგ  
ჭირისუფლებს მიუბრუნდებოდა — დიდი სიცხე აქვს. შემოიტანეთ  
ცივი აგურები და გარშემო შემოუწყეთ. აგური სიცხეს გამო-  
კრეფს. შემდეგ ეს წამალი დაალევინეთ და თუ მაგან ორი დღის  
შემდეგ რაიმე ტკივილი იგრძნოს, კისერი მომჭერი!

ილარიონის უკანასკნელი სიტყვები სრული ჭეშმარიტება იყო.  
მართალია, ავადმყოფი პირველ და მეორე დღეს ძალზე ცუდად



— გადამკიდებიათ პაპიროსი — მიატოვეთ. განა ახე ად-  
ვილია პაპიროსის მიატოვება? ცოლი ხომ არ არის!

გრძნობდა თავს, მაგრამ მესამე დღეს სრულებით აღარაფერს  
გრძნობდა და როგორც სჩანდა, საეჭვო იყო, რომ ოდესმე რაიმე  
ეგრძნო, რადგან იგი, ასე ესტყვათ გარდაცვლილიყო.

— რა ვიცი ძმარ, — გაიმართლებდა თავს ილარიონი. — იმ წამ-  
ლით შარშან მუცლის ტიფიანი კაცი მოვარჩინე და გრიბი რა  
არის, რომ ვერ მომეჩინა, მაგრამ ხომ იცით, ეს სოფელი ინტრი-  
განებითაა საფსე.

ილარიონი იმითაც ტრაბახობდა, რომ მას შეეძლო ყოველგვარ-  
ი ავადმყოფობის მორჩენა.

— აბა, დედასხი თავსლაფი იმისთანა ექიმს, მარტო ბრუციანი  
ნაწლავის ამოჭრა რომ შეუძლია. თუ ექიმი ხარ, ყველაფერი უნდა  
შეგეძლოს, თუ არა და დამუწე, ბიძიკო პირი! — იტყოდა ილარიონი  
და მასთან მისულ პაციენტ ქალს მიუბრუნდებოდა.

— რამდენი გყავთ ბიძიკო შვილი?

— არც ერთი ბატონო, მაგრამ ხომ იცით, მაინც შემაწუხებს  
ბავშვი და ამიტომ თუ შეგიძლიათ მუცელი მომიშალეთ...

— რავე არ შემიძლია! აბა რას ვაკეთებ აქ... ბებია ჩემმა ალა-  
თიმ მაგის მეტი რა მასწავლა...

შემდეგ შუშას გამოუტანდა გულუბრიყვილო ქალს და ეტ-  
ყოდა:

— ა, ჩემო ბიძიკო, ეს წამალი დალიე და შვილი ახლა კი არა,  
არასოდეს არ გეყოლება თუ გინდა.

ილარიონის სიტყვებიც ძალიან ზშირად მართლდებოდა. მისი  
წამლის დალევის შემდეგ ქალს საგვებით მოეშლებოდა არა თუ  
მარტო მუცელი, არამედ მთელი ნერვიული სისტემა და ჰკარგავდა  
არა თუ შვილის ყოლის უნარს, არამედ საკუთარ თავსაც.

— რა მიქენი კაცო, რატომ დამიღუბე ქალიშვილი, შენ და-  
გექცა ოჯახი! — წაეჩხუბებოდა ილარიონს ქალის მამა.

— რა გინდათ ძმარ, კისერი მომჭერით თუ მაგას აწი შვილი  
ეყოლოს!... როგორ? გარდაიცვალა? ჰოო, ეს ჩემი საქმე არ არის.  
ადამიანი ყველა მომაკვდავია. რავე, ჩვენ არ მოვკვდებით თუ!...

ამ დღეებში ექიმბაშ ილარიონს სახალხო სასამართლოს საბ-  
რალდებულო სკამზე ვხედავდით. მას 8 წლით პატიმრობა მიესაჯა,  
როგორც ექიმბაშს და მატყუარას.

# ქივი თვლი

საბ. შ. ლენინის სახ. პ. მ. კოსტავაძის ქარხანა



არ შეიძლება ისეთი მომსახურების მოთხოვნა, როდესაც დირექტორი, რომელიც სურს თავი გაიმსარსოს საფარმის ცაღ გუჯი-ოჯიში, ვუღაფ იმას იფიქრობას, რომ მისი განვარტებულია, არ შეუსრულებიათ, თუცა ეს განვარტებულია სწორი იყო და თავის დროზე შეიქცა.


საბ. შ. შ. კოსტავაძის მოსახლეობის საბ. შ. შ. (რ) XVIII სართლი-საბავშვო მომსახურება.

— ხუთი წელწალია ეს კაცი ჩვენი შიარტულია და ამდენი ოფლი არასდროს დაუფერია!



ალიონი ხარჯში ოსტანის შეუნდოს — ერთი თვე! შეღწეულ იქვანებს ეს შეტარებულ და მისხანს უბიტირენ... — შეტარებულს! — არა, დისტანციის უფროსს

სხვადასხვა მანქანათა ძალა




ავტომანქანის შეუქლიან	ვილის	ორთქლმავალს შეუქლიან	ვილის
100.000 კოლომეტრზე 2.000 ტვირით.	ფუთი	80.000 კოლომეტრზე ამდენზე ფუთი,	ტვირით.

1. ზისოკარბს შეუქლიან „მლიტირბითა“ თავისთა წინ გადაუღებს და გაჩეროს რამდენიმე მანქანა 500.000 ტონა ზიდის ძალიან.

უღარდელის „არგუმენტი“ — რატომ წამოიჩა თქვენი ქარხნები ვეგმს? — ქალაქი შეგამცირეს და იმტიომ. — კი მაგრამ თქვენი ფაბრიკა... ზომ ქალაქს არ მშარობს. — ფაბრიკა არა, მაგრამ... ტრესტი? ცირკულარები ზომ უნდა აგზავნი, რომ საქმე გაეცდეს.

## მისხარებაული



1. შედეგო ოსტატმა მანქანა და ამუშავების წინ აღმოჩნდა, რომ საწავი მასალა მიმზარებულს სხვა საწარმოებისათვის შეუქლია.



2. აკტება გზნეაში ოსტატმა საწავი მასალის არქონების გამო.



3. ვაიკო ფაბრიკის მშაროველმა საწავის არქონების შესახებ და დქდა წერად ცირკულარებისა: „ზომები მიღელით“.



4. ვაიკო ტრესტის მშაროველმა საწავის არქონების შესახებ და დქდა წერად ცირკულარებისა: „გვეულებო“.



5. ვაიკო რაიონის ხელმძღვანელმა საწავის არქონების შესახებ და დქდა წერად ცირკულარებისა: „წინადადება აქრელით“.



6. და ვაიჩარა საქმე მოხერხებულმა ოსტატმა თქვა: ვიდრე ის ხალხი რაშს გახდებოდეს მარტონს მაგერ ამას მაინც გამოვიყენებო... — და აგუფუნდა ძალისხან ცირკულარისა.



სოფლიდან გაქცეული დახუნდარა, ზოგჯერ აბრეშები გამოზამთრებდას.

რთველი ილეოდა. ელიბო—მჭედლოს კარმიდამოს ჩაუარა. მოუკრეფავ ვენახს გადახედა, ფარღალა ბელელში კბილდაკრეჭილ სიმინდს გაუცინა,—ღარწმუნდა, ამდენი დოვლათის პატრონს ერთი მუქთახორას შენახვა დიდად არაფრად გაუჭირდებოდა.

მჭედლოს ეზოში შეჯირითდა. ორი დღე ვენახში ხელი წაუკრა, მერე ყურძნის დასაწურავად მივიდა.

ელიბო გაბრიყვდა, საპონი და ცხელი წყალი გამოუტანა.

—რამ სიგრძე ბალანი გქონია, შე სამიწე!—შეწუხდა მასპინძლის ცოლი, როცა დახუნდარამ შარვალი დაიკარწახა და მაიმუნის კანკები გამოაჩინა.

—ტანზე მეტი მაქვს, უბედურ კაცს ფრჩხილი ეზრდება, ბედნიერს—ბალანი!—მშვიდად მიუგო დახუნდარამ.

საპონი და ცხელი წყალი თავისდღეში ერთად არ უხმარია.

საპონს მხოლოდ წულა-მესტების ჩასაცმელად ხმარობდა. ცხელი წყალი გაქვავებულ მაზოლების მოსაქნელად სჭირდებოდა.

ამიტომ ორი თუნგი წყალიც ცოტა აღმოჩნდა რომ დახუნდარას წვივებს ბუნებრივი ფერი დაბრუნებოდა. მობეზრდა ამდენი ხეხვა და დავიდარაბა. თანაც გულუბრიყვილო

მასპინძლები ეცოდებოდა. ისინი ვერ მიმხვდარიყვნენ, რომ ძვირფას საპონს ყოვლად შეუძლებელ საქმეს ალევდნენ.

—თქვენ, ბოშო, რავარც გატყობთ, ჩემი დადღვრა გინდათ!—გაჯავრდა, კანკზე ხელი მოიტყაუხნა:—აგი, ბოშო, წვირე კი არაა, ბუნებით დამყვა ამისთანა ფერი. ახლა თქვენი გულისთვის ბუნების წინააღმდეგ ხომ ვერ წავალ!

იმდენი ეჩიჩინა ცოლქმარს, რომ მესამე თუნგი აღარ მოუტანეს.

საწნახელში ჩავიდა. მჭედელი ჭურებს რეცხდა.

ქალი თხილის აცმებს ამზადებდა ტკბილში ამოსავლებლად.

შარვაზე შენაქარი ბულრაობდა. ჭრილებდა დახუნძული ვაშლის ხე. დროდადრო გადამწიფებული ნაყოფი მოწყდებოდა, რბილად დაეცემოდა მოლზე. ღობისძირში მივდებული დედადორი სულწაყლად დაიღრუტუნებდა ხისკენ მიჩიქჩიქებდა.

დახუნდარა წნებდა ქარვისფერ ცოლიკოურის მტევნებს.

თუხთუხებდა სქელი და მღვრიე ტკბილი. მოშუადღდა.

ღიასახლისმა ღობი ჩაზილა და კაცებს დაუძახა.

დახუნდარამ საწნახელიდან ამოსვლაც ვერ მოასწრო, —ქალმა ჩოგანი ქვაბში ჩაჰკრა, გაფოფრილი წამოიჭრა.

უი, უი, ამას რას ხედავს ჩემი დასაფსები

თვალები! რა თეთრი ყოფილა, მაგი ჩავწვინე უზიარებლად შავს მიწაში! შენელე კაცო, რავე ვეატყუებდა, ასეთი ფერი მაქვსო! —შეიცხადა დაზაფრულმა ღიასახლისმა. მგელივით მიაჩერდა დახუნდარას ფერმოსულ კანკებს.

საპნის დაწყებული საქმე საწნახელში და გვირგვინდა.

—მართლა რა თეთრი ვყოფილვარ! — შეიკვირვა დახუნდარამ და შარვლის ტოტები სწრაფად ჩამოუშვა.

ნასადილევს მოლზე წამოწვა, მაგრამ თვალიც ვერ მოატყუა, გამაგდებენო, ფიქრობდა.

ვგლო ასე გატრუნული, რომ პარმალიდან გაცხარებული ბუტუნნი მოესმა.

ცოლ-მქარი თავშექცევით იწვა ჭილობზე. ქალი მუთაქას ხილავდა. დახუნდარა დაძინებული ეგონა და მოურიდებულად ჩურჩულებდა:

—გაუღე ჭიშკარი და პანტური ამოჰკარა! ოი, მაგის კუბი გაიტანეს ჭიშკრიდან თავუკულმა, რავე წამოწყვიდა ოჯახი!

—ანგარიშის საქმეა, დედაკაცო, —ედაგებოდა ქმარი: ფეხები ქე ჩეიბანა და ბარელამ მეორე საწნახელიც მოათავოს.

„ქალის ჭკუას მაინც კაცის ჭკუა სჯობია!“ გაიფიქრა გულდამშვიდებულმა დახუნდარამ. სასთუმალი გაიწყო. ახლა დაძინებაც შეიძლებოდა.


კონსტანტინე ლორთქიფანიძე

ნახ. ღონისა

რასიონალურად იყენებს



—რა ამზავია, ქეთევან, კაბას სამსახურში იყენებ?  
—აბა რა ვქნა? ხანლში საოჯახო საქმეებისათვის ვერ მომიცდია და...



(ზუგდიდისათვის) **ქართული**

სტუდენტთა საცხოვრებელში რადიო გვექონდა ხმით „ნაზი“, გვექონდა მაგრამ აღარა ვგაქვს და იმიტომ მოგვდის ბრანი ჩვენ რადიოს ამ ზამთარში შეეყარა სურდო ავი, ხმა ჩაუწყდა უეცრად და დაღუპდა საცოდავი. რადიოსადგურისაკენ გააქანეს ნება-ნება, და გვახარეს: ერთ თვის შემდეგ აქ რადიო კვლავ გვექნება. მაგრამ გადის თვე მესამე არ გვსმენია ჩვენ ხმა მისი, ნიანგოჯან, დამნაშავეს გთხოვ მიუზღო საკადრისი.

აღვა.



— აი, ამხანაგო დირექტორო, მოგიტანეთ პიესა თქვენს თეატრში დახადგხელად.  
 — ინტრიგა კარგად არის შიგ ვანვითარებული?  
 — რას ბრძანებთ? — მე ინტრიგა ბუნებით მძულს.

### ჯაშუში კოჭლ ნიკალა

დაწესებულების კლუბში შეკრებილიყვენ ახალგაზრდები და გულდასმით უსმენდნენ მოხუც მუშას.

— ეს ამბავი, ყმაწვილებო, ცხრაას ხუთში მოხდა. მე ორთაქალაში პატარა სახლი მქონდა და ეზოში კარგი ბაღი. ჩემს მეზობლად ცხოვრობდა ერთი წითური სახის ჭორფლიანი, კოჭლი კაცი, რომელსაც ყველანი კოჭლ ნიკალას ეძახდნენ. ამ კოჭლ ნიკალაზე ეჭვით ამბობდნენ. ჯაშუშიაო. მაგრამ ამისი ნამდვილი საბუთი რევოლუციონურ ორგანიზაციას არა ჰქონდა. ამიტომ, როგორც მის მეზობელს, ორგანიზაციამ მე დამავალა, რაიმე ხერხით გამოიმერკვია მისი პიროვნება.

ერთ დღეს ჩემს ეზოში ჭას ცილებდი. ჩემთან გამოვიდა ეს კოჭლ ნიკალა. შემეკითხა:

- რას აკეთებ. ამბაკო?
- ვერა ჰხედავს ჭას ვილებ.
- მერე და არ იცი, რომ აქ წყალი არ ამოვა?

ეს რომ მითხრა უცებ ეშმაკურმა აზრმა გამოიღვა თავში, მუშაობა შევაჩერე და ხმა დაბლა ვუთხარი:

— აქ ჩემო ნიკალა. ფარული ორგანიზაციის დავალებით, იარაღები: თოფები და ბომბები უნდა შევიინახო.

— მართლა? როდის?  
 — ამდღამ უნდა მოვრჩე ჭის ამოღებას, ხვალ საღამოს „ტაჩკით“ იარაღებს მოიტანენ და შიგნით უნდა ჩავალაგო. ნიკალა, თუ კაცი ხარ, არავისთან დაგცდეს სიტყვა.

ნიკალა წავიდა. მე ჭა ამოვიღე და თუმცა ნიკალა ფიქრობდა არ მოვარ, წყალი, ამოვიღა.

მეორე დღეს, განგებ დაღამების შემდეგ, მოვიტანე ორი „ტაჩკა“ ნაკელი და ჭასთან ახლოს დავყარე. თან ნიკალას ვადევნებდი თვალყურს აქეთ თუ იხედება მეთქი და შევნიშნე, რომ მისი სახლის ლაფარეს მოჭვარებოდა—და მიჭვრეტდა. ჭას მე განგებ ფიცრები გადავაფარე.

მეორე დღეს, ღამით, პოლიცია დამეცა გასაჩხრეკად და პირველად ჭას ეცნენ. ბოქაულმა დამიყვირა:

— ეს რა არის აქ? ჩქარა ახადე ფიცრები, ვნახოთ შიგ რა დაგიმალავს.—ბოქაულს სიხარულისაგან სახე უბრწყინავდა.

მე გულში მეცილება და ვითომ შეშინებული ვეუბნები:

— არაფერი ბატონო, ჭა არის, ბაღის მოსარწყავად გამოიყვები.

— ვიცით რაც ჭა არის აბა ახადეთ ჩქარა!

— უბრძანა თავის ჩაფრებს ბოქაულმა. ჩაფრებმა ფიცრები ახადეს, ჭრაქი მამატანინეს და ჩაიხედეს. ნახეს მართლა წყალი.

ბოქაულს არ ესიაშოვნა, მაგრამ რალას იზამდა. ერთი ორი მაინც შემომიკურთხა და წავიდნენ.

ჩემთვის აშკარა იყო, რომ კოჭლ ნიკალამ მიჯაშუშა. მით უმეტეს, რომ როგორც კი პოლიციელები წავიდნენ, ნიკალა მოვარდა ჩემთან და მკითხა, როგორ გადარჩიო. მე ვუთხარი:

— დმერთმა მიშველა ჩემო ნიკალა, ჭაში აღარ შემინახავს ის იარაღები. პირდაპირ ოთახში შევიინახე იატაკს ქვეშ, წაშლი თუ გინდა გაჩვენებ!

— ო. ყოჩაღ, მე და ჩემმა დმერთმა. მაჩვენე, მაჩვენე, როგორ მოახერხე, დიდი ეშმაკი კაცი კი ყოფილხარ.

— ესლა კი გადავრჩი, ჩემო ნიკალა და სამ დღეში თუ კიდევ არ დამესხნენ, მერე ქე წაიღებენ ამ იარაღებს, ჩემს დღეში აღარ გავერევი ასეთ სამიმ საქმეში.

ამ ლაპარაკში კოჭლ ნიკალა შევიყვანე ჩემს ოთახში და ვაჩვენე ახლად ამონგრეული და ხელმეორედ ჩაჭედილი ფიცარი.

— აი, ჩემო ნიკალა, ამ ფიცარს რომ ხედავ ამონგრეულს—ამის ქვეშ საარდაფია გათხრილი და იარაღიც იქაა შენახული.

— ეშმაკი ვერ მიაგნებს სწორედ, მარა ზედ რომ ჭილოფი გადააფარო მაინც უკეთესი იქნება.—მირჩია მან.

მეც გავიზიარე მისი რჩევა და მაშინვე გადავაფარე ჭილოფი.

ორგანიზაციაში განვაცხადე, რაც მოხდა და ვარწმუნებდი კოჭლ ნიკალა ნამდვილად ჯაშუშია მეთქი. ზოგიერთებმა მაინც თქვეს: იქნება შემთხვევით მოხდა ეს ჭის ამბავიო და საჭიროა კიდევ უფრო მტკიცე საბუთი.

კარგი უფრო მტკიცე საბუთსაც მოგიტანთ—მეთქი განვაცხადე, მართლაც იმავე ღამით ისევ დამესხნენ პოლიციელები და ხელათვე ჭილოფი ახადეს და რომ დაინახეს ახლად ჩაჭედილი ფიცარი. ბოქაულმა დამიყვირა:

— ახლა სადღა მიდინხარ, ვაებატონო! რატომ არის ეს ფიცარი აგლეჯილი და ისევ ჩაჭედილი?

— აქ ბატონო, ამას წინად ფიცარ და ფიცარს შუა მანეთიანი ჩამივარდა და რომ ამომეღო ამიტომ ფიცარის აგლეჯა და ისევ დაჭედვა დამქირდა.

— სტყუი, შე არამზადავ! მოიტა ცული!

— ბატონო, იატაკს ნუ დამიჩხებთ!—შეგეხვეწე მე,—თუ მიბრძანებთ თვითონ ავშლი ამ ფიცრებს.

— აშაღე, ჩქარა!

მოვიტანე გავი, ამოვადრე ლურსმნები და ავშალე ფიცრები. ქვეშ, რა თქმა უნდა, არავითარი საარდაფი არ იყო.

ბრავმოჩენულმა ბოქაულმა იღრიალა:

— მომიყვანეთ ჩქარა ის კოჭლი გაიძვერა! უცებ ოთახში შემოიყვანეს ჩვენი კოჭლ ნიკალა.

ბოქაულმა მაგრა-მაგრა გადაუჭირა მართხი და შეჭყვირა:

— შენი გასამასხარებელი ვართ, ჩაუხავ, შენა, შენ ჩვენ გზაკვალს გვიბნევ, ალბათ შეთანხმებული ხარ ბუნტოვშიკებთან!

ნიკალა ხმას ველარ იღებდა.

— შეუკარით მხრები მაგ წუბაქს!—ბრძანა ბოქაულმა. კოჭლ ნიკალას შეუკარეს მხრები და წაიყვანეს. აი ასე გამოვამკარავე ჯაშუში, ყმაწვილებო. დაამთავრა მოთხრობა მრხუტმა.  
**პირიფილი.**

თვითღამუვილება და კულტურა ტექნიკის ათვისების საქმეში, წარმოადგენს უწყვეტ კავშირს  
ველობის მრავალი დარგის და მრავალი საწარმოს ჩამორჩენის მიზეზს თანამედროვე ტექნი-  
კისაგან.



— ეს, ამხანაგი დირექტორი. თქვენ რომ იხივთ მაღლა სწივალეთ ტექნიკას, რაცორც ცხვირს!



„თბილკვებტრესტის“ ვართ შექმნილი  
(თბილისის მაუდის ფაბრიკა)

„დიდი ეპიტიკოსი“ ხაუზის კლუბში  
ეროვნული  
კლუბის მდიანი

მაუდელთა სასადილოს  
სიაკარგეს გაცნობთ ყველას,  
დღეები აქვს მრავალი  
რაც მოითხოვს დროზე შევლას.  
დასვენების დროს ვესტუმრეთ  
ვთქვით: რას ხედავს თვალი ამას!  
ერთ წელიწადს გვეშინებოდა,  
სწობდა ასეთ „რაგუს“ ჭამას!  
„რაგუ“ ჰქვია მეგრამ იმას  
არც ვემო აქვს, არცა ფერი.  
თუმცა ვძებნეთ, ვერ ვიპოვეთ  
ზორცი მასში ჩანაჭერი.  
„სუფშიც“ მაკარონის ნახვა  
საქმე არის ერთობ ძნელი.  
ჩემის შოვნაც ძალიან სჭირს,  
„კუდი“ არის მეტად გრძელი.  
აქვე ხშირად კოვზისათვის  
„ცხარე ბრძოლა“ იმართება,  
ო, რამდენი დრო იფლანგვის  
დასვენების წუთი ჰქრება.  
ნიანგოჯან, მოგახსენეთ  
სასადილოს რამე-რუმე,  
გვინდა ნაკლი გამოსწორდეს  
„თბილკვებტრესტის“ ვართ შექმნილი.  
ივანე ბუხაიძე და,  
მიხეილ ცომაია.




რამდენადი (რეჟისორს) — გალილეოს როლის შემსრულებელ მსახიობის თამაშში  
ხიბობს ვერ ვგრძნობ.  
დირექტორი — მართალია, სწორედ იმ დღეს გამოგველია შეშა და დარბაზი ველა  
ვაფაობთ.

ჩხარის სასადილოში

სასადილო დილია,  
ოთახები-მრავალი,  
ღვინო ეგზომ „ტებილია“,  
როგორც მუცლის წამალი.  
ხორცს მოითხოვ, — „არ არის“,  
ენაზედ აკერიათ,  
— აბა როდის იქნება,  
თქვენ დაგეჟათ კერია?  
გამგე ამბობს: „მოიცა,  
ყური მიგდე ჰაბუკო,  
მართალს გეტყვი, გულოჯან,  
ბევრი რომ არ გავბუქო:  
ორშაბათს ნუ შემოხვალ,  
სამშაბათს არ იკადრო,  
ოთშაბათს რომ მოხვიდე,  
არ მომიკვდეს ნიკანდრო, —  
ნაჭერიც ვერ იშოვო,  
ხორცი ცხვრის ან, ხარისა,  
ხუთშაბათს გვეშინია  
ძალზე ახალ მთვარისა,  
პარსაკევეს კი — მარხვაა,  
ეს ხომ იცი, ძველი ხარ,  
შაბათს არ შემოივლი;  
შენ ისედაც ჩვენი ხარ,  
კვირას, მოგეხსენება,  
დასვენებაც ყოფილა,  
ხორცსაც ასე მოუწევს,  
ჩემო თვალბფოფინავ.  
რვაშაბათი არ არის,  
თორემ დიდი სურვილით,  
ისეთს გაჭმევ ლობიოს,  
გაიგულო წყურვილით...  
ა.კ. თუჯე

მერისის კლუბში  
(ქედის რაიონი).



მერისში კლუბი კარგი გვაქვს  
ის გარედან თვალს. აამებს,  
მაგრამ სქელი მტვერი ჰფარავს  
მოჭრიალვ კოჭლ-კოჭლ სკამებს.  
კლუბის ძაგინას ფეხები  
— განდაგან ჭვს ვალრეკილი,

მაგრამ მისთვის ყურს არ იბერტყს  
კლუბის გამგე ისრაფილი.  
ერთ კუთხეში ჩინებულად  
რადიოა გაჭიმული,  
მაგრამ იგი ხმას არ დასძრავს,  
თუნდ დახარჯო ქრთამად ფული.  
მერისელი.



სოფ. ნახაზულევის (წულუკიძის რაიონი) წისკვილი, არხის სა-  
ფაღის გაფუჭების გამო, რამდენიმე თვეა არ მუშაობს.

ნახ. დონისა



— რას იკლავ თავს, ძმობილო, ერთად გინდა ყველა გადაყლა-  
პო? სანამ არხის სათავეს შეაკეთებდნენ, ამისთანას ორას ტომა-  
რას შევახრამუნებთ.

რომ შევედი შევინდი,  
საქმე ვნახე საზარი;  
კულისებში ვირთავებს  
გაემართათ ბაზარი.

ჩამტვრეული ფანჯარა  
შეკეთებას ელოდა,  
წიგნების შკაფს აწვიმდა,  
თავს ვერაფრით შველოდა.

სამკითხველო ვიხილე  
ათი წიგნის ამარა...  
გულმოდგინედ „მუშაობს“  
მისი გამგე თამარა.

ერთ პიესას ამზადებს  
გადის დრო და ჟამია...  
ფარდა ხავერდოვანი  
თავებს შეუჭამია.

წრეების „არსებობას“,  
გვამცნობს ძველი რვეული.  
ირგვლივ ყრია სკამები  
ფეხებგდამტვრეულა...

და ამ კლუბ-სამკითხველოს  
რადიოც აქვს საკუთრად,—  
ხმას არ იღებს, ქცეულა  
ლამურების საბუღრად.

ვალერიან მუხურელი.

## პირულის სასაღილოში

მოქალაქე:—ეს ოჯახპორი, სულ არ მაქცევს ყურადღებას!  
(აკაკუნებს მაგიდაზე).

მიმტანი:—ვა, შენ აქ სამჭედლო სახელოსნო გამიმართე?

მოქალაქე:—შე კაი კაცო, მშია, ერთი საათია აქა ვარ და  
ყურადღებას არ მაქცევ, რა გაქვთ პირველი?

მიმტანი:—პირველი ინდაური, მეორე ხარჩო, მესამე ეკალა,  
მეოთხე... ჩორთი ოზნაი... მეოთხე...

მოქალაქე:—მომიტანეთ ხარჩო!

მიმტანი:—სიჩას! (მიღის და მოაქვს მარტო პური) ახლავე  
იქნება, ცოტა ხნით იმ მაგიდაზე მიმელიან, ყველა ჩვენი ბიჭები  
სხედან (მიღის).

მოქალაქე:—ამ პურს მაინც შევჭამ, თორემ ის ჩაის ჭიქებში  
იხრჩობა კოლოსავით!

მიმტანი: (მაგიდიდან) ლაზარე, თუ კაცი ხარ, შენ რომ იცი  
იმისთანა ხარჩო გააკეთე, ერთი!

მოქალაქე:—(თავისთვის) ალბათ ჩემთვის უნდა!

მიმტანი: (თეფშს დგამს მაგიდაზე) ცალიერი საკმაზია შენმა  
მზემ, გადაბრუებულა!

მოქალაქე:—პური ქე შევჭამე და აწი ამ წყალს რაღა ვუყო!

მიმტანი:—ახლა ეგ დააყოლე და პურიც იქ დახედება! არ  
გინდა დაალობს? ხმელი პური კუჭს გატყენს, შე კაცო!

პლ. ზუმბაზური.

## ფიზიკის კაბინეტში

ნახ. დონისა



— ევრიკა! ერთი კილოგრამი შაქარი უფრო მეტს იწონის,  
ვიდრე ამავე რაოდენობის პური. ახალი აღმოჩენა!

— ტყუილი სიხარულია, ეგ „აღმოჩენა“ პურის გამყიდველს  
ეკუთვნის.

ნახ. მასინასი

ზოგიერთი რაიონის სკოლები უშუალოდ მოუზარაგებელია კორესპონდენტებიდან

წამყვანი  
გამყვანი

ნატანების რკინიგზის №2 სასადილოში შევედით მე და ჩემი სამი ამხანაგი და რვა ჭიქა არაყი მივირთვიეთ, რისთვისაც სასადილოს გამგემ ჩვენგან მოითხოვა 16 მანეთი. ჩვენ ამოდენა თანხა არ აღმოგვაჩნდა. მოვიგონეთ ასეთი ხერხი: სასადილოში 18 უფუხო სკამი დავინახეთ. გამგეს მივმართეთ: მოდი, 16 მანეთის მაგიერ მოგცემთ იმდენს, რამდენი ფეხიც ექნება თქვენს სკამებს. გამგე დაგვთანხმდა. ჩვენ „ანგარიში“ მოვტყუვდით. სკამების ფეხები დავითვალეთ და აღმოჩნდა, რომ 18 სკამს შერჩენოდა 17 ფეხი, ასე რომ 16 მანეთის მაგიერ უნდა გადაგვხადა 17 მანეთი, რაც ჩვენს შესაძლებლობას აღემატებოდა. ერთერთი ჩვენთაგანის წინადადებით სასადილოს გამგეს ხელწერილი მივეცით, რომ ოთხი ამხანაგი ოთხ სკამს ვუყიდდით, რომლებსაც 16 ფეხი ექნებოდა. გამგე ამაზედაც დაგვთანხმდა და ჩვენც ვალდებულად ვთვლით თავს. ხოლო მომავალში შემოსხენებულ სასადილოში 18 ფეხმოტეხილ სკამს მივუმატოთ ოთხი ოთხფეხიანი სკამი. ჩვენი პირობის შემოწმებას, ვანდობთ ნიანგის რედაქციას...

ი. მათრახაძე.

### საჩივარი

მუხრანის სამკითხველოს კარის ვირთხებმა საჩივრის განცხადება შეიტანეს სამკითხველოს გამგე თ. ჩუგუაშვილთან იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა სამი თვეა შეწყვიტა ჟურნალ-გაზეთების სამკითხველოში მოტანა და ამით ვირთხებს სარჩო მოუსპო. საჩივარი ჯერ არ არის განხილული.

კა—ხი.



— ჭკუაზე შეირყა პირდაპირ ბიძაჩემი: გინდა თუ არა სკოლის იატაკებზე დავბინავდეთო, ხიცივით უნდა გამოინოს!

## ჩ ვ ე ნ ი უ ო ს ვ ა

**შიქას** (ხაშური). ხაშურის კულტსახლის შესახებ ლექსს ვერ გიბეჭდავთ, რადგანაც ვფიქრობთ, რომ კულტსახლის გამგე „ქებს შემოგობრუნებს“ და ლექსის წერაში უკულტურობას დაგწამებთ. ვეტყვის: აბა, ეს რა ლექსიაო.

ჩვენს კულტსახლში მხოლოდ ბუბონს, გართობა კი არ არის,— მიწეზი, რომ ჰკითხო გამგეს, ვაი შენი ბრალი.

ჩვენის აზრით, კარგი იქნებოდა პირველყოფილის კულტსახლის მუშაობა გაეცნოთ იმავე სახლის გამგესათვის. ვინ იცის, ეგებ ჩვენი ჩარევის გარეშე მომხდარიყო გარდატეხა ხსენებული კულტსახლის მუშაობაში.

**მეოგბელს** (ქედის რ. ს. მერიანი). იწერებთ: „მოგახსენებთ, რომ დიდი სურვილი მაქვს ვითანამშრომლო თქვენს ჟურნალში, ოღონდ მიჩივით როგორ მოვიქცეო“. მოიქეცით ასე: მოგვაწოდეთ ადგილობრივ ცხოვრებიდან მასალები. გვთხოვთ, რომ შევასწოროთ თქვენი ლექსი.—მასალების შეს-

წორება ჩვენს მოვალეობას შეადგენს, მაგრამ თქვენს ლექსს მაინც ვერაფერი მოვუხერხებთ.

**ვალბას** (ხაშური), თქვენი მასალები მიღებულია. იწერებთ, რომ რკინიგზის კლუბში „ძალი პატრონს ვერ ცნობსო“. კლუბის გამგე ამ გარემოებას იმით ხსნის, რომ მისთვის შტატი შეუძლოა. გადავცით ჩვენგან, რომ თქვენ დანიშნული ხართ ნიანგკორათ ხაშურის რკინიგზის კლუბში, რის გამოც კლუბის გამგე ვალდებულია ჩაგრიცხოთ თავის შტატში.—ამ მხრივ მეტი დახმარება მისთვის ჩვენგან შეუძლებელია. გთხოვთ გვაცნობთ შედეგი...

**ი. მათრახაძეს** (მახარაძის რ. მერია). თქვენ გვთხოვთ რომ მერიის სასადილოს გამგეს გამოვუწეროთ სასადილოს ფანჯრებისა და სახურავის შესაკეთებლად 2500 მან. თავების დასაქვრ ხაფანგებისათვის—1500 მ.

ნიანგმა უფრო უბარი ზომები მიიღო თქვენი თხოვნის დასაკმაყოფილებლად: იგი მერიაში გზავნის თავის წარმომადგენელს ბასრი ჩანგლით.

სარედაქციო კოლეგია

რედაქციის მისამართი: ჯორჯიაშვილის ქ. 5. ტელ. 8-74-87

91-196

# საეჭიანქლოს თხოვლობა

ნახ. შ. ოთაროვიძე და გ. ისაევია

„... იაპონია შუამავლობს ტაისა და ინდო-ჩინეთის კონფლიქტის მოსაგვარებლად იმ მიზნით, რომ მათგან კომპენსაციად ნავთსადგურები მიიღოს“.

გაზეთებიდან: **საქართველო**  
**ბიზნისი**



სამუკამლო დიპლომატი.—რაზე ამტკრევთ ერთმანეთსა თაუპირს? მომეცით ის, რისთვისაც ჩხუბობთ და თქვენი დავა მოისპობა.